

მათემატიკის ოლიმპიადის პირველი ტურის ტესტების მიმოხილვა

მე-2 კლასი

ტესტი შედგება 10 ძირითადი დავალებისგან და 6 ბონუს დავალებისგან. თითოეულს თან ახლავს 3 სავარაუდო პასუხის. ძირითადი ნაწილის ჯამური ქულაა 50. ყველა ძირითადი სავარჯიშო არის 5 ქულიანი, ხოლო ბონუს დავალებები 3 ქულიანი.

მოსწავლემ უნდა შემოხაზოს პასუხი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ამოცანის პირობას. ჯერ უნდა ამოხსნას ამოცანა და შემდეგ აირჩიოს სავარაუდო პასუხი.

ფინალში გამსვლელი ქულაა: 21 (და ყველა 21-ზე მეტი ქულა)

ტესტები არ იქნება დაყოფილი თემატიკის მიხედვით, თუმცა შინაარსობრივად შეგხვდება შემდეგი თემები:

მარტივი არითმეტიკა და მიმდევრობები

ამ ამოცანებით მოწმდება რიცხვების მიმდევრობითი შეკრების ცოდნა და ლოგიკური კანონზომიერების პოვნა.

მაგალითი: გამოთვალეთ: $2+4+6=$

- A) 10 B) 12 C) 8

რიცხვების შედარება და დიაპაზონები

ასეთ ამოცანებში ყურადღება ექცევა რიცხვებს შორის არსებულ კავშირებს და მათ სწორად შედარებას.

მაგალითი: რომელია სამზე მეტი?

- A) 1+1 B) 3+3 C) 1+2

პრაქტიკული და ლოგიკური ამოცანები

ეს ამოცანები მოსწავლეს ასწავლის მათემატიკის გამოყენებას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მაგალითი: ვახოს 1 სათამაშო აქვს, თამარმა კიდევ 2 სათამაშო მისცა. რამდენი სათამაშო აქვს ვახოს?

- A) 1 B) 3 C) 2

ვიზუალური აღქმა და დაკვირვება

ეს დავალებები ავითარებს ყურადღებას, ფორმებისა და გამოსახულებების ანალიზის უნარს.

მაგალითი: რამდენი გაფერადებული სამკუთხედია?

A) 4

B) 3

C) 2

